გახმაურებული საქმის განხილვა დასრულდა

რამდენიმე თვის წინ თბილისის პროკურატურამ ხმაურიანი საქმე გახსნა - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ნიკო ფიროსმანის მიერ აბრაზე შესრულებული ნახატის "კახური ღვინოს" საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობის ფაქტი.

გამოძიების მასალების მიხედვით, სქემა ასეთი იყო: ნახატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის გავლით რუსეთის ფედერაციაში უნდა გაეტანათ და ერთ-ერთი კოლექციონერისთვის 500 000 დოლარად მიეყიდათ.

თბილისის პროკურატურისა და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპრტამენტის თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომელთაც ფიროსმანის ნახატი აზერბაიჯანში არალეგალურად უნდა გადაეტანათ, 31 მარტს დააკავეს, ეროვნული საგანძური - ნიკო ფიროსმანის ნახატი «კახური ღვინო" კი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს გადაეცა.

საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი გაიოზ ჯავახიშვილი, რომლის საკუთრებაც იყო ნახატი, მის გაყიდვას გეგმავდა. იგი დაუკავშირდა შპს "იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრი"-ის წარმომადგენლებს გელა სანიკიძეს და ალექსანდრე ფურცხვანიძეს და მათი მეშვეობით, მამუკა შ.ს. სურათის შეძენა და არალეგალურად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადატანა შეთავაზეს ფიროსმანის ნახატი აზერბაიჯანში უნდა გადატანათ ადვოკატ დავით ზირაქაშვილსა და ზურაბ დათუკიშვილს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული და ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რის საფუძველზეც, მათთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ალექსანდრე ფურცხვანიძეს, გაიოზ ჯავახიშვილს და დავით ზირაქაშვილს 5-5 წლით პატიმრობა მიუსაჯა, რაც ჩაეთვალათ პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. გარდა ამისა, გაიოზ ჯავახიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ფიროსმანის ნახატი. გელა სანიკიძეს სასამართლომ 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელსა და 6 თვეს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. ზურაბ დათუკიშვილს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც მსჯავრდებული 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

ახალქალაქის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

ახალქალაქის რაიონული სასამართლომ ბრალდებული არტაშ ხაჩატურიანი უდანაშაულოდ ცნო.

სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია წარდგენილი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარებოდა ბრალდება და განსასჯელი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

საქმის მასალების მიხედვით, ხაჩატურიანს ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის გამო.

თელავის რაიონულმა სასამართლომ კი, 72 წლის ქალის გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის 29 წლის ი. რ-ს უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 20 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მცხოვრები, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ი.რ. თანასოფლელ თ. ძ-ს ოჯახში მივიდა. მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რის შემდეგაც ი.რ-მ ხანშიშესულ ქალბატონს ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე მრავალჯერადი დაზიანებები მიაყენა და გააუპატიურა.

ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ი.რ-მ განიზრახა მოეკლა ხანდაზმული ქალბატონი მისივე თავსაფრით, ასევე, თავზე მოახვია ნაქსოვი ჟაკეტი, რის შედეგედაც, თ.ძ. გაიგუდა და გარდაიცვალა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ი.რ. ჩადენილ ქმედებაში დამნაშავედ ცნო და მას უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოწმის დაკითხვის წესები

რა უფლება-მოვალეობები აქვს მოწმეს, როგორია მოწმის დაკითხვის წესები, რა შემთხვევაში დგება მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და როგორ უნდა დაიკითხოს მოწმე იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ საქმის არსებითი განხილვისას ის ვერ დაიკითხება - ეს საკითხები სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით, ახლებურად არის განსაზღვრული.

გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს. გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით, ასევე შესაზლებელია დაიკითხოს მოწმე, რომელიც დიდი ხნით ტოვებს საქართველოს და შესაძლოა, საქმის არსებითი განხილვისას ვერ დაიკითხოს. ასეთ შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მოწმის წინასასამართლო ჩვენება. ეს ჩვენება არ შეიძლება იყოს ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი საფუძველი. ის დადასტურებული უნდა იყოს სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დასაკითხ პირს იძახებენ სასამართლო უწყებით. დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის პროცედურას.

მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარ ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.

მოწმე უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის დაყენებიდან გონივრულ ვადაში. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოწმე არ იკითხება.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებული ცვლილების თანახმად, გამოძიების სტადიაზე დასაკითხი პირის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შეიძლება ასევე დაიკითხოს პირი თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან ინდივიდუალური შეთანხმების პირობების საფუძველზე, შემოსულია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი დაკითხვის ზოგად წესს ადგენს, რომლის მიხედვითაც, დაკითხვის დაწყებამდე, სასამართლომ უნდა დაადგინოს მოწმის ვინაობა. ფიცის დადების შემდეგ, სასამართლომ მოწმეს უნდა განუმარტოს უფლება-მოვალეობები - რა საქმეზეა გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ მოწმე ასევე უნდა გააფრთხილოს და განუმარტოს, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის, დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოწმეს ასევე უნდა განემარტოს, რომ ის ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან.

დაკითხვის დაწყებისთანავე, მოწმის მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას სიტყვის შეწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით, შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა. მოწმე უნდა დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ნასამართლობის შესახებ შეკითხვა მოწმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მოწმის სანდოობის დადგენისათვის. თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც ის იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით - ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით. დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემოწმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს.

საქმის არსებითი განხილვის დროს ბრალდების მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების მხარე, აგრძელებს დაცვის მხარე და პირიქით. მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.

სტაჟიორთა კონკურსი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და სრულყოფის მიზნით, სტაჟიორთა კონკურსს აცხადებს. საბუთების მიღება უკვე დაწყებულია და 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ეძლევა პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ან არის უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

სტაჟირება ექვსთვიანია და ის ანაზღაურების გარეშე იწარმოებს. კონკურსი ჩატარდება ტესტირების ან გასაუბრების ფორმით, განცხადების გამოქვეყნებიდან სამი კვირის ვადაში. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორს მიეცემა სტაჟირების სერტიფიკატი. დაწვრილებითი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე
http://www.hcoj.gov.ge

სასამართლოს ქრონიკა
24 ოქტომბერი, 2011 წელი

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის კომპენსაციის მოთხოვნის წესი

როგორ უნდა შეივსოს სასარჩელო ფორმა და რა დოკუმენტები უნდა ახლდეს მას იმისთვის, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლმა ან მისმა მემკვიდრეებმა კომპენსაცია მოითხოვონ; რა ვადა აქვთ კომპენსაციის მოსათხოვად მოსარჩელეებს და ვინ ითვლება მოპასუხედ. რამდენიმე თვის წინ კანონში შესული ცვლილებით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეებისთვის ფულადი კომპენსაციის ოდენობას სასამართლო ადგენს. სასამართლოს მოსაჩელეებმა 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა მიმართონ.



პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის ფულადი კომპენსაციის მიღების წესი დადგენილია კანონით «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ», ასევე, «საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.»

ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს პირს, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. რეპრესირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მის პირველი რიგის მემკვიდრეს. კანონით, პირველი რიგის მემკვიდრედ ითვლება მშობელი, მეუღლე და შვილები.

ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა ხდება ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის გზით. სარჩელის შეტანის უფლება აქვს რეპრესირებულს, ან თუ ის გარდაცვლილია, მის პირველი რიგის მემკვიდრეს.

ამ კატეგორიის სარჩელს განიხილავს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

სასამართლოში სარჩელის შეტანისას, სარცელსუნდა დაერთოს ემდეგი დოკუმენტები: სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ; პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სარჩელს უნდა დაერთოს, სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილი პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ; მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამკვიდრო მოწმობა, ხოლო თუ სამკვიდრო მოწმობის აღება შეუძლებელია, საჭიროა რეპრესირებული პირის გარდაცვალებისა და პირველი რიგის მემკვიდრის დაბადების მოწმობები); თუ არსებობს პირველი რიგის რამდენიმე მემკვიდრე და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ეს მემკვიდრეები უთმობენ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს, სარჩელს უნდა დაერთოს საანოტარო წესით დამოწმებული გარიგება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ. მაგალითად, თუ გარდაცვლილ რეპრესირებულ პირს ყავს 4 პირველი რიგის მემკვიდრე, შეიძლება სარჩელი შეიტანოს ოთხივემ ერთად ან სამმა მათგანმა ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება საანოტაროდ დამოწმებული გარიგების საფუძველზე გადასცეს ერთ-ერთ მათგანს. თუ ვერ ხერხდება მსგავსი გარიგების შედგენა და სარჩელი ყველა პირველი რიგის მემკვიდრეს არ შეაქვს, მაშინ სარჩელში უნდა მიეთითოს სხვა პირველი რიგის მემკვიდრეთა სახელი, გვარი, მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, მოსარჩელეს დაჭირდება შინაგან საქმეთა ან ყოფილი უშიშროების სამინისტროს არქივიდან ცნობა განხორციელებეული რეპრესიის სიმძიმისა და რეაბილიტაციის შესახებ, თუ ამ გარემოებების შესახებ ზუსტად არ არის აღნიშნული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

კანონით არ არის დადგენილი ფულადი კომპენსაციის ზუსტი ოდენობა, თითეულ შემთხვევაში თანხის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. თუმცა აუცილებელია, რომ სარჩელში კონკრეტულად მიეთითოს, თუ რა თანხას ითხოვს მოსარჩელე.

კანონის თანახმად, ფულადი კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია რეპრესიის ფორმის სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა ობიექტურ ფაქტორებზე. შესაბამისად, სარჩელს შეიძლება დაერთოს ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები (მაგალითად, ჯანმრთელობის ცნობა, სოციალურად დაუცველის მოწმობა, რეპრესირებულისათვის ქონების ჩამორთმევის ცნიბა და ა.შ. ასევე, ფოტოები, სტატიები და სხვა ცნობები, თუ ეს ინფორმაცია რეპრესიებს უკავშირდება).

პირები, რომლების მიმართავენ სასამართლოს მსხვერპლად ცნობის ან კომპენსაციის მიღების მოთხოვნით, არ იხდიან საქმის განახლებისათვის დადგენილ სახელმწიფო ბაჟს.

კანონის თანახმად, რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე მემკვიდრეზე გაიცემა ერთიანი ფულადი კომპენსაცია - ანუ ფულადი კომპენსაციის ოდენობაზე გავლენას არ ახდენს პირველი რიგის მემკვიდრეთა სიმრავლე.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ რეპრესირებულმა ან მისმა მემკვიდრემ სასამართლოს უნდა მიმართოს 2012 წლის 18 მაისამდე, ხოლო ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ სასამართლოს სარჩელით შეგიძლიათ მიმართოთ 2014 წლის 1 იანვრამდე.

კონკურსის - "ინტელექტუალური საკუთრება 2" პრეზენტაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოში სტუდენტური კონკურსის - "ინტელექტუალური საკუთრება 2" პრეზენტაცია გაიმართა.

2011 წლის შემოდგომის სემესტრში «ელსა საქართველო» მთელი საქართველოს მასშტაბით სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს აღნიშნულ პროექტს კვლავ სთავაზობს. პროექტის გენერალური პარტნიორები არიან თბილისის საქალაქო სასამართლო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი სტუდენტური თვითმმართველობა, საქართველოს ავტორთა საზოგადოება და საქპატენტი (ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი).

მონაწილეთა შერჩევა მოხდება გუნდური პრინციპით (თითოეულ გუნდში 2-2 მონაწილე), რომლებსაც დარეგისტრირება შეეძლებათ თბილისის, ქუთაისის, გორის და ბათუმის სარეგისტრაციო ზონებში სპეციალური, ელექტრონული საპლიკაციო ფორმის შევსების გზით, რომელიც განთავსებულია ელსა-ს ოფიციალურ საიტზე: www.elsa.ge

დარეგისტრირებულ მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება - წერითი ეტაპი ჩატარდება მხოლოდ თბილისში.

5 ნოემბერს შეირჩევა გუნდები გორსა და ქუთაისში, ხოლო 6 ნოემბერს - ბათუმში. სულ შეირჩევა 8 გუნდი, აქედან 5 გუნდი წარმოადგენს თბილისს, ხოლო თითო-თითო რაიონებს.

შერჩეულ გუნდებს იმიტირებულ პროცესებამდე ჩაუტარდებათ ტრენინგები. ჩატარდება 7 პროცესი. 19 ნოემბერს - 4 შესარჩევი პროცესი, 26-27 ნოემბერს ნახევარფინალები, ხოლო 4 დეკემბერს - ფინალი. თითოეული ეტაპის, ისევე, როგორც საბოლოო გამარჯვებული გუნდი გამოვლენილ იქნება კომპეტენტური ჟიურის მიერ.

პროექტში გამარჯვებული გუნდის წევრები გაივლიან სტაჟირებას საქალაქო სასამართლოში.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ), საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანიის ფონდმა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამართეს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე საკანონმდებლო პროცესში მიღწევები და ცვლილებები - გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, პოლონეთის და სამხრეთ კავკასიის მაგალითზე.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას რესპუბლიკების მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა. ასევე, საერთაშორისო ექსპერტებმა გერმანიიდან, ბელგიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, სლოვენიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კონფერენცია გახსნეს იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძემ, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ საქართველოში ჰაიკე გაბრიელიმ.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე, მნიშვნელოვან როლს საკანონმდებლო პროცესის სრულყოფა წარმოადგენს. კარგი კანონის შექმნის წინაპირობა კი მნიშვნელოვანწილად სრულყოფილი და რაციონალურად გაწერილი საკანონმდებლო პროცესია.

კონფერენციის მიზანი გახლდათ საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების საკითხებზე საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილებისა და კონცეფციების გაზიარება. მცირე სამუშაო ჯგუფებში (რეგულირების გავლენის შეფასება, კანონშემოქმედებითი საქმიანობის სახელმძღვანელო, უკეთესი რეგულირების პოლიტიკა და ინსტიტუტები) მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო მოხელეებს საშუალება ჰქპონდათ განეხილათ საკუთარი შეხედულებები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და უცხოელ ექსპერტებთან და ესარგებლათ მათი გამოცდილებით.

პლენარულ სესიებზე მოხსენებები მიეძღვნა საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების ზოგად ასპექტებს, მოისმინეს ინტერვიუ ბალკანეთის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებაზე და განიხილეს სამუშაო ჯგუფების ფარგლებში დასმული საკითხების შედეგები და დასკვნები.

კონფერენციის ფორმატი, მონაწილეებს სთავაზობს იდეებისა და შთაბეჭდილებების გაცვლისათვის და აღმოსავლეთ ევროპაში საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესების საკითხებზე საერთაშორისო კონტაქტების გასამყარებლად ძალიან კარგ სივრცესა და შესაძლებლობას.

თელავის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვანი დარბაზიდან გაათავისუფლა

თელავის რაიონულმა სასამართლომ ქურდობის ექვს ეპიზოდში ბრალდებული არასრულწლოვანი ნ.უ. სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ნ.უ-მ ქალაქ ახმეტაში სხვადასხვა ქუჩაზე მცხოვრებ ექვს ადამიანთან სტუმრობისას, მათი სახლებიდან მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად მიისაკუთრა ოქროს ნივთები და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულებს.

თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, მას ჯარიმის გადახდა დააკისრა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.